საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ვერონა

ვერონა, სოფელი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გომბორის თემში (კახეთის მხარე), გომბორის ქედის სამხრ.-დას. კალთაზე, მდ. გომბორის (ივრის მარცხ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 1200 მ, საგარეჯოდან 53 კმ. 94 მცხ. (2002). სოფ. ვ. (ვერენა) მოხსენიებულია კახთა მეფე ალექსანდრე I-ის XV ს. შეწირულობის სიგელში. სოფლის მახლობლად, მაღალ კლდოვან მთაზე, ადგილობრივი კლდის ქვით ნაგები IX–X სს. ციხის ნანგრევებია (ქვითკირის კედლები, მრგვალი ბურჯები და კოშკები). გალავანი რელიეფს გასდევდა, შემორჩენილია სამხრ-ით და აღმ-ით 3–4 მ-მდე სიმაღლის კედლები და ნახევარწრიული მოხაზულობის კოშკების პირველი სართულები. კოშკებს შესასვლელი ეზოდან ჰქონდა. მთავარი შესასვლელი აღმ. მხრიდან იყო. ციხე დარაჯობდა ივრის ხეობიდან გომბორის უღელტეხილით ალაზნის ველზე გამავალ გზას. იხ. აგრეთვე *ვერონის არქეოლოგიური ძეგლები.*